საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო

LEPL REGULATION AGENCY FOR MEDICAL AND PHARMACEUTICAL ACTIVITIES

KA030230853416420

საქართველო, თბილისი 0119, აკ. წერეთლის გამზ. 144, ტელ; (+995 32) 2 72 53 84

144 AK. TSERETELI AVE, 0119, TBILISI, GEORGIA, TEL: (+995 32) 2 72 53 84

№ 02/7509

24 / ივნისი / 2020 წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, ბატონ ბექა ჯაყელს

**ბატონო ბექა,**

როგორც მოგეხსენებათ, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „იურიდიული პირის მიერ II სიაში შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის გადაზიდვა ხორციელდება მხოლოდ პოლიციის დაცვის თანხლებით“. აღნიშნულიდან გამომდინარე გვესაჭიროება დაცვის პოლიციის გაცილების მომსახურების შესყიდვა. შესყიდვის განხორციელების საშუალებას წარმოადგენს გამარტივებული შესყიდვა. შესყიდვის ღირებულება შეადგენს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარს.

აღნიშნული შესყიდვის განხორციელებისათვის საჭიროა CPV 75200000 (საზოგადოებისათვის მომსახურების გაწევა ) კოდის დამატება სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში.

თანხა მოძიებულ იქნა CPV 30100000 კოდზე (საოფისე მაანქანა დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა) არსებული ღირებულების შემცირების ხარჯზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დავნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურის დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 ნოემბრის N01-342/ო ბრძანების - „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებულ გეგმას. (დანართი N1).

დირექტორი | ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად | ზაალ კაპანაძე